**სრკ-ის 2021 წლის 24 თებერვლის**
**საერთო კრების რეგლამენტი**

1. 2021წლის 24 თებერვლის სრკ-ის საერთო კრება (შემდგომში წოდებული „**საერთო კრება**“) ჩატარდება ავჭალის რაგბის სტადიონის ბაზაზე, მისამართზე: თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. 27.
2. საერთო კრება დაიწყება 13:00 საათზე მონაწილეთა რეგისტრაციით.
3. რეგისტრაცია ხორციელდება საერთო კრების სამდივნოში, რომელიც განთავსებულია საერთო კრების ჩატარების მისამართზე, საარჩევნო ოთახის შესასვლელში.
4. საერთო კრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:
4.1. სრკ-ის პრეზიდენტს;
4.2. გამგეობის წევრებს;
4.3. ნამდვილი წევრების თითო წარმომადგენელს;
4.4. პრეზიდენტობის კანდიდატებს;
4.5. სამდივნოს (ხმის დამთვლელი კომისია) წევრებს.
5. საერთო კრებაზე ხმის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ კავშირის ნამდვილი წევრები.
6. საერთო კრებას ესწრება და კრების ოქმს ადგენს ნოტარიუსი.
7. საერთო კრება არ არის საჯარო.
8. ნამდვილი წევრები წარმოდგენილი იქნებიან მათი რეგისტრირებული (ოფიციალური) ხელმძღვანელების ან ასეთი ხელმძღვანელის მიერ გაცემული ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობით.
9. საერთო კრებაში მონაწილეობისათვის რეგისტრაციისათვის ნამდვილი წევრის უფლებამოსილ წარმომადგენელს უნდა გააჩნდეს პირადობის დამადასტურებელი საბუთი. ნამდვილი წევრის უფლებამოსილი წარმომადგენელი სამდივნოსაგან იღებს მანდატს.
10. რეგისტრაციისას მონაწილენი ხელს აწერენ საერთო კრებაში მონაწილეთა (ნამდვილწევრთა) სიას იმ ნამდვილი წევრის გრაფის გასწვრივ, რომელსაც წარმოადგენენ და რომლის სახელითაც ესწრებიან კრებაზე.
11. რეგისტრაცია მთავრდება 13:45 საათზე.
12. სამდივნო საერთო კრების თავმჯდომარეს 13:55 საათზე გადასცემს მონაწილეთა სიას და ვინაობას.
13. საერთო კრებას უძღვება გამგეობის თავმჯდომარე. მისი არყოფნის შემთხვევაში, გამგეობის მიერ არჩეული პირი - გამგეობის წევრი.
14. კრების მსვლელობის უწყვეტობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად საერთო კრების თავმჯდომარე უფლებამოსილია დააწესოს გამომსვლელთა რეგლამენტი და რაოდენობა, გამოაცხადოს შესვენება არაუმეტეს 30 (ოცდაათი) წუთისა.
15. 14:00 საათზე კრების თავმჯდომარე აცხადებს ინფორმაციას საერთო კრების უფლებამოსილებისა და დღისწესრიგის შესახებ.
16. საერთო კრება ტარდება დღის წესრიგის მიხედვით.
17. სრკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატებს გამოსვლისათვის ეძლევათ არაუმეტეს 20 (ოცი) წუთი.
18. საკუთარი პროგრამის პრეზენტაციისათვის ფორმას ირჩევს თავად პრეზიდენტობის კანდიდატი.
19. საერთო კრება უფლებამოსილია ღია კენჭისყრით მიღებული გადაწყვეტილებით შეცვალოს ყველა ის წესი, რაც მიღებულია ამ რეგლამენტით.